

გაზეთის ფასი:

|                         |                   |
|-------------------------|-------------------|
| ბაგაენთ ტფილისში        | ბაგაენთ ტფილისში  |
| და გარეშე ადგილებში:    | ბაგაენთ ტფილისში: |
| ქრთის წლისა — 7 მან.    | — — — 6 მან.      |
| ნახევრის წლისა — 4 —    | — — — 3 — 50 კ.   |
| სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 —         |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.  
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

საქონლის-მომწოდებელი მიწის-მფლობელი

ტფილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კვპ. სტამბაში, ბალაიხის პროსპექტზე, რედაქციის სახლში.  
 ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.  
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. შავი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძოლის ასობით გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ.

## საკოლონიო და სალიტერატურო გაზეთი.

**შინაარსი:** მმართველობის ტელეგრაფები. — ტფილისი, 23 თებერვალი. შქაში მმართველის სენატისადმი. მისი იმპერატორების შმალესობის სიტყვა მიტყეული გლახთადმი, რომელიც გამოვიდნენ ყმობითის დამოკიდებულებისაგან. ტფილისში მიღებული ტელეგრაფები; სალიტერატურო ნაწილი: — საგზავნო. მზის დაბნელება ტფილისში. მმართველობის განკარგულება: — ბრძანება ქაქასის ნაგებობის სამართლებლოში. სახანო განცხადება.

### მმართველობის ტელეგრაფები.

**ორპირი, 19 თებერვალი.** დიდს მთავარს ნამესტნიკს

შაქს ბედნიერება მოგახსენო ტქვენს შმალესობას, რომ დღეს ზუგდიდში ბრწყინვალეთ გამოცხადდა შხენაესი შქაში საბატონო გლეხების განთავისუფლებასზე, დამტკიცებულის პროგრამის თანახმად. შველა წოდებანი მადლობელნი და ბედნიერნი არიან.

თავადი მირსკი.

დიდმა მთავარმა ნამესტნიკმა, როგორც კი მიიღო ეს დეგემა, 20 თებერვალს დილით გაუგზავნა მისი იმპერატორების დიდებულეებს შემდეგი დეგემა:

ხელმწიფე იმპერატორს. შაქს ბედნიერება მიულოცო ტქვენს დიდებულებას დიდი საქმის გათავება, რომელიც შვიცავს გლეხების განთავისუფლებას ბატონყმობის დამოკიდებულებისაგან მთელს იმპერიაში და მოგახსენებთ, რომ გუშინ ზუგდიდს ბრწყინვალეთ გამოცხადდა შხენაესი შქაში ამავე საქმეზედ სამეგრელოში. შველა წოდებანი ბედნიერნი და მადლობელნი არიან.

მიხეილი.

20 თებერვალს ტფილისში.

იმევე დღეს საღამოს მისი იმპერატორების შმალესობა ეღირსა ტელეგრაფით ხელმწიფე იმპერატორის პასუხის გებასა:

დიდს მთავარს მიხილ ნიკოლოზის ძეს. შმალეობ ლმერთს, რომელიც შგვეწოა გაგვეთავებინა გუშინ გლეხების განთავისუფლება მთელს იმპერიაში. ქურთხეულიმც იყოს მისგან ეს წმინდა საქმე.

ალექსანდრა.

ტფილისი, 23 თებერვალს.

ამ ნუმერში მკითხველები წაიკითხვენ უმაღლესს უქაზს გლეხების განთავისუფლებასზედ სამეგრელოში. ეს უქაზი გამოცხადდა სამეგრელოში 19 თებერვალს, გლეხების „განთავისუფლებების“ ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ აბანების დღეს. 8 ნოემბერი და 16 თებერვალი ჩვენთვის საშუალოდ სასოვარდლებათ დარჩებიან. 8 ნოემბერს 1864 წლისა მოხდა გლეხების განთავისუფლება შართლში და ქახეთში, იმავე დღეს 1865 წლისა იმერეთში. 19 თებერვალს დაიწყო და კიდევ თავდება დიდი საქმე — გლეხების განთავისუფლება. ამ დღეს 1861 წ. გამოვიდა უმაღლესი მანიფესტი ბატონ-ყმობის გაუქმებაზედ რუსეთში და იმავე რიცხვს 1867 წ. თავისუფლება მიენიჭა სამეგრელოს გლეხებს. ამას იქით ბატონ-ყმობა სამუდამოთ მოიხსოვს საქართველოს მიწაზე; ამასთანავე რუსეთის იმპერიაშიაც ის არსად აღარ არსებობს. შმალესი უქაზი გლეხების განთავისუფლებასზედ სამეგრელოში თავდება შემდგომი სასიხარულო სიტყვებით: „მართ სრულდების დეწლი

მიდამო ჩვენს იმპერიაში ყმობითის საზოგადოების გაუქმებისა.“

მართლა და გლეხების განთავისუფლება რუსეთის იმპერიაში დიდი დეწლი და უმაღლესი საქმეა. ისტორიაში ძვირით მოაზრებება ამისი მგზავნი საქმე. 23 მილიონს კაცს მიენიჭა თავისუფლება, ახალი ცხოვრება, ასე ესტკვით ახლათ დაიბადნენ, რადგანაც მონის სიცოცხლე არა მგონია, რომ მართლა ცხოვრება იყოს. შმალესის ნებით მოკლე დროს წყნარათ და მშვიდობიანათ მოიშალა წესი, რომელიც დამყარდა რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში კაცის მძლავრობის და სხვა და სხვა გარემოების გამო. ბატონ-ყმობის გაუქმებამ არა თუ მართლ მებატონეების და გლეხების მდგომარეობა შესცვალა, არამედ მთელის საზოგადოებისა. შრთმა მწერალმა ბატონ-ყმობა შეადარა ორპირიან მახვილს, რომელიც წყლულს უჩენდა და აზარალებდა როგორც დამონებულს, ისე დამონებულს. ჩვენი მხრით ჩვენ დაეუმატებთ, რომ ბატონ-ყმობა მართლ ამ ორ წოდებას კი არ ავნებდა, ის იყო სენი, რომელიც უშლიდა მთელის ქვეყნის, ყველა მცხოვრებლების წარმატებას. ბატონ-ყმობა რომ ქვეყნის განათლებას და გამდიდრებას უშლის, ამას ჩვენ ცხადთ გეჩვენებს შეროპის ისტორია. მიწამ იქ ბატონ-ყმობა არსებობდა, ის ღარიბი და გაუნათლებელი იყო. შემდეგ, როცა ბატონ-ყმობა მოიხსო და იმას თან მოჰყვა სხვა და სხვა საჭირო და სასარგებლო ცვილებანი, სიმდიდრით და განათლებით ის შვიქნა პირველი ქვეყანა ცას-ქვეშეთში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გლეხების განთავისუფლება ჩვენს სამშობლო ქვეყანასაც დიდს წარმატებას მისცემს.

შინც წაიკითხავს უქაზს სამეგრელოს გლეხების განთავისუფლებასზედ, ის უქვეყნო იკითხავს: რა მდგომარეობაშია ახლა ბატონ-ყმობის საქმე ტფილისის და შთათისის გუბერნიებში? ჩვენდა სამწუხაროთ უნდა ესტკვით, რომ ამაზედ ჩვენ არა გვაქვს არა ვითარცა აფიციალური ცნობა. (მითი მხოლოთ, რომ ეს საქმე შართლში და ქახეთში რიგინათ მიდის, წყნარა, და მშვიდობიანათ თავდება. ორივე მხარე, გლეხები და ნამეტურ მებატონეები, სწორეთ სამაგალითოთ იქცევიან, საქმე თითქმის ყოველგან შორიგებით და დამოხრებით თავდება. შმეტესი ნაწილი დებულების ოქმისა (უსტაენის გრამოტისა) შართლში და ქახეთში შედგენილი და დამტკიცებულია, ასე რომ იმედია, წელს დებულების ოქმის შედგენა სულ გათავდება. როგორც ამბობენ, ბევრნი მებატონეები აპირებენო მიწის შესყიდვას გლეხებისათვის.) ამაზედ უკეთესის ისინი ვერას იზენ. უქვეყნოა, საქმე საბოლოოთ ასე უნდა გათავდეს, რომ გლეხი მიწის მებატონეთ უნდა გახდეს. რაც მალე მოხდება ეს საქმე, ის უკეთესია. მღლებიც და მებატონეც დაინახვენ, რომ ორივე მხარისთვის სამიზო ვალდებული დამოკიდებულება, და მიწის შესენა ორივეთვის სასარგებლო იქნება. ბატონ-ყმობის გაყრაში შართლში და ქახეთში ყველაზედ უფრო შესანიშნავი და სასიხარულო ის არის, რომ მებატონეები და გლეხები ერთი-ერთმანეთს სწორეთ მეგობრულათ

შორდებიან. ორივე მხარე ივიწყებს, რაც რამ უკმაყოფილება ყოფილა მათ შორის, და უნდათ ამას იქით კარგს მეზობლებსაიეთ იცხოვრონ. ტფილისის გუბერნიაში ამასთანავე ყოველგან სოფლის საზოგადოება შესდგა და სასოფლო სასამართლოები დაწესდნენ, ასე რომ ახლა გლეხები თვითონ მართვენ თავიანთ საზოგადოებას და თვითონ განაგებენ თავიანთს შინაურს საქმეებს. დსაწყიო ყოველთვის ძნელია და ამისათვის ვერავენ ვერ მოითხოვს, რომ გლეხებს თავდაპირველათვე, როგორც რიგია, ისე წაეყვანათ ეს ახალი საქმე. საზოგადოთ კი, როგორც ამბობენ, სოფლის ამორჩეულნი პირები მაინც კარგათ იქცევიან, ზოგან კიდევ გაუმართეთ სასოფლო შკოლები და პურის მაგაზინები და სხვაგან აპირებენ იმათ დაწესებას.

ჩვენდა სამწუხაროთ უნდა ესტკვით, რომ იმერეთიდან არ ისმის ასე სასიამოვნო ამბავი. იქ დებულების ოქმის შედგენა და საზოგადოთ ბატონ-ყმობის საქმე რაღაც მიმეტ მიდის. იმედი კი გვაქვს, რომ ამას იქით იმერეთი და სამეგრელო შართლის და ქახეთის მაგალითს მიხედავს. ბატონ-ყმობის საქმის გათავება მებატონეების და გლეხების ურთიერთის ნებაყოფლობაზედ არის დამოკიდებული. თუ საქმე ჯინზედ წავიდა, უქვეყნოა ერთი მეორის ზარალს შეიძლებს. მაგრამ აქედამ უკმაყოფილების, შურის, ერთიერთმანეთის დაზარალების მეტი რა გამოვა? ორსავე მხარეს უნდა ახსოვდეს, რომ მომავალში ერთ ერთმანეთს ყოველთვის დასჭირდებიან, უერთი-ერთმანეთთ გაძლება არ შეუძლიანთ. ამისათვის ისინი უნდა ცდილობდნენ, თანხმობით და დათმობით ისე გაშორდნენ ერთი ერთმანეთს, რომ ერთმა მეორეს იმისთანა არა აწყენინოს რა, რაც მომავალში დაუშლის მათს გაწყობილს მეზობლოურს ცხოვრებას. ამ საქმეში პირველი მაგალითი, რასაკვირველია, თავდა-ზნაურობამ უნდა გამოაჩინოს, რადგანაც ის არის უმაღლესი წოდება, განათლებით და შეძლებით ის მალა დგას გლეხებზედ.

როგორც მკითხველი დაინახავს კანონებისაგან, რომელიც სამეგრელოში ბატონ-ყმობის გაუქმებისა გამო გამოიციენ და ჩვენს გაზეთში იბეჭდებიან, სამეგრელოში გლეხები განთავისუფლდნენ იმავე საფუძვლებზედ, როგორც შართლში, ქახეთში და იმერეთში. როგორც აქ, ისე იქ გლეხები უნდა ემსახურნენ მებატონეებს ორს წელს; ამ დროს განმავლობაში უნდა შესდგეს დებულების ოქმი და მებატონემ უნდა მიუჩინოს თავის გლეხს იმოდენი მიწა, რამდენიც იმერეთშია დაწესებული, ესე იგი, 12 ქვევა. შდასახადი მიწის მოსავლიდამ სამეგრელოში იმ ზომით გამოერთმევა გლეხს, როგორც სხვაგან საქართველოში. პირადის სამსახურის მოკლებისათვის ხელმწიფე იმპერატორმა სამეგრელოს მებატონეებს უწყალობა ფული, რომელიც იმ რიგით უნდა დარიგდეს, როგორც ქახეთში, შართლში და იმერეთში დარიგდა. (\*)

(\*) ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლიან არ წარმოვთქვათ ჩვენი იმედი, რომ სამეგრელოს მებატონეებიც ისე მშვენიერათ და სასარგებლოთ მოიხმარებენ ხელმწიფე იმპერატორისაგან ნაწყალობებს ფულსა, როგორც იმერეთის თავდა-ზნაურობამ მოიხმარა. ჩვენს

სამეგრელოში ორი დიდი ცვილილება მოხდა ამ მოკლე ხანში: ერთი ადრინდელის მთავრის უფლების მოშლა და მეორე-ბატონყმობის გაუქმება. უქვეყნოა, ეს ცვილილება დიდს წარმატებას მისცემს ქვეყანას. ის მხარე უხვათ არის შემკული ბუნებისაგან: მიწა აქ ძალიან ნაყოფიერია, მდებარეობა ზღვის პირათ ძალიან სასარგებლოა ვაჭრობისათვის; ამასთანავე იმას ასხია ცოცხალი და ნიჭიერი ხალხი, ადილათ შემთვისებელი და მიმღები განათლებისა და ახალის წესისა. აქამომდე იმის მცხოვრებლებს არა ჰქონდათ საშუალება, რომ ესარგებლებინათ თავის სამშობლო ქვეყნის სიმდიდრითა და მდებარეობითა. სამეგრელოში არ იყო არც მტკიცე მმართველობის წესი, რომ ხალხის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინოს, იმას არ ჰქონდა არც სასწავლებლები და არც გზებო, რომელიც ასე მიუტკიცებლნი არიან ახალის განათლების და კეთილდღეობისათვის. ამისთვის ეს მხარე აქამომდე ყველა სხვა საქართველოს ნაწილებზედ უფრო ღარიბი და ჩამორჩენილი იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მხარის განახლების დრომაც მოაწია. ბატონ-ყმობის გაუქმება უნდა იყოს საფუძველი და პირველი ნიშანი ამ ახალის ცხოვრებისა. იმას თან უნდა მოჰყვეს სხვა ზომები და ცვილილებანი, რომელთაც ხალხის საჭიროება მოითხოვს. შემდეგ ამისა უწინასწარმეტყველოთაც შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სამეგრელოს ბრწყინვალე მომავალი მოცლის, რომ ეს მშვენიერი მხარე იმ გვარს ადგილს დაიჭერს ქაქასიაში, როგორც ძველათ განთქმულს ძალხიდას შავი ზღვის პირათ ექირა.

### შქაში მმართველის სენატისადმი.

მანიფესტითა თებერვლის 19-სა დღესა 1861 წელსა გამოცემულთა და წესდებებითა, იმავე დღეს ჩვენ მიერ დამტკიცებულითა, ჩვენ განვთავისუფლეთ რუსეთში ყმობითის დამოკიდებულებისაგან საბატონო გლეხნი და მიენიჭეთ მათ წოდებითი უფლებანი თავისუფალთ სოფლის მცხოვრებთა, განეჩინეთ რა დაწვრილებით მოვალეობანი მათნი პატრონთადმი მიწისა, რომელზედაც იგინი დასახლებულ არიან.

მასვე დროს ჩვენ დაეინახეთ საჭიროდ განგეუქმებინა ნაწილ-ნაწილ ყმობითი მდგომარეობა ქაქასიის პირ იქითაც. აღსასრულებლად ამისა შედგენილ იქმნენ, ადგილობითი მებატონეთ მოწინააღმდეგეთა, წინადადებულებანი ახლად დაბინავეებისათვის გლეხთა ტფილისის და შთათისის გუბერნიათა შინა, და ესე წინადადებულებანი, ჯეროვანის მათის განხილვის შემდგომ, დამტკიცდნენ ჩვენ მიერ: პირველს გუბერნიაში 13-ს ოქტომბერს 1864 წელსა, ხოლო უკანასკნელს — 13-სავე ოქტომბერს 1865 წელსა.

აღსრულდა რა ესრედ საგლეხო ცვილილება ხსენებულთ პირ იქით ქაქასიის მხარეთა შინა, ყმობითი მდგომარეობა შთებოდა მხოლოდ ერთს ადგილს კიდევ, სახელდობ სამეგრელოში, მაგრამ აქაც მებატონეთ საზომობთ ბანის დაარსებაზედ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მეგრელები ამ შემთხვევაში იმერელებს უკან არ ჩამორჩებიან და ამ ფულის ნაწილს ბანისათვის დასახდებენ.

გაღობამ, აღმოვიჩინა რა სარწმუნოდ ქვე-  
შევრდომული ერთგულება ჩვენისა ნები-  
სადმი, მიჰმართა მაგალითსა ტფილისის და მუ-  
თაისის გუბერნიების მებატონეთასა, და, მა-  
თებრ, გამოაცხადა მანცა მზადყოფნა განთა-  
ვისუფლებისათვის გლეხთა თვისთა ყმობითის  
დამოკიდებულებისაგან. წინადადებულებანი ამ  
საგანზედ, შედგენილი საკუთარს ადგილობ-  
რივ კომისიასაში, თანამონაწილეობითა სამეგრ-  
ელოს მებატონეთაგან აღრჩეულის დეპუ-  
ტატებისათა, იქმნენ ჯერ პირველად მისის  
იმპერატორების უმაღლესობის ძაფ-  
კასის ნამეტკის მიერ განხილულნი და და-  
ბოლოებითად განსაჯულნი შეერთებულს სამ-  
სჯავროსა შინა ძაფკასიის კომიტეტისა და უმ-  
თავრესის კომიტეტისა მსოფლიოთ მცხოვე-  
რებთ დასაბინავებლად.

დღეს ჩვენ დავამტკიცეთ ესე წინადადე-  
ბულებანი—ვითარცა დამატებითი 13-ის რუ-  
ტომბრის 1864 წლის წესდებათადმი კანონ-  
ნი გლეხთათვის, გამოსულთა ყმობითის და-  
მოკიდებულებისაგან სამეგრელოში, და ეს-  
რეთ ამ კანონდებულებით სრულდების დეაწ-  
ლი მიღამო ჩვენს იმპერიაში ყმობითის სა-  
ზოგადოების გაუქმებისა.

წარმოგვხანით რა ამ კანონებს მმართვე-  
ბელს სენატსა შინა, ეუბრძანებთ მას მოახ-  
დინოს ჯეროვანი განკარგულება იმათის სა-  
ხალხოდ გამოცხადებისა და მოქმედებაში მო-  
ყვანისათვის.

წამდვილზედ მისის იმპერატორები-  
თის დიდებულების საკუთარის ხელით მო-  
წერილ-არს:

„ალექსანდრე.“

პეტერბურგში.

1-ს დეკემბერს 1866 წელსა.

სამეგრელოს სოფლის მცხოვრებნო, ყმო-  
ბიდან გამოსულნო!

დიდი ხანი არ არის გამოგცხადათ თქვენ  
უმაღლესო ხელმწიფე იმპერატორის უქაზი,  
რომლის ძალითაც განსხვავებული მდგომარე-  
ობა სამეგრელოსი მოისპო სამუდამოდ, და  
თქვენ სრულიად მოწოდებულნი იქმნით სა-  
ფარველსა ქვეშე იმ მმართველობისა და კან-  
ონებისა, რომელნიც დაწესებულნი არიან  
საერთოდ ყოველთა მისის დიდებულების  
ქვეშევრდომთათვის. ახლა გეცხადებთ თქვენ,  
ყოველად-უმოწყალესის, თქვენდა სათნო-  
მყოფელის ხელმწიფე იმპერატორის სა-  
ხელით, რომ გაუქმდება ყმობითი დამოკიდე-  
ბულებაცა თქვენი და თქვენ შეერთებულ  
იქნებით რუსეთის იმპერიის თავისუფალთ  
გლეხთ საზოგადოებათა-თჳსა.

ამ ექვსს წლის წინად, დღევანდელსავე  
მთელის რუსეთისათვის სასიხარულო დღესა,—  
ყოველად-სანატრელის ხელმწიფის ტახ-  
ტზედ აღსვლისას—19-ს თებერვალს, იყო  
პირველი გამოცემული მანიფესტი, რომლი-  
თაც მიენიჭათ შინა გუბერნიების საბატონო  
გლეხთა განთავისუფლება ყმობითის დამოკი-  
დებულებისაგან. ხელმწიფე იმპერატორ-  
მა, აღიარა რა სათნოდ გარდამოჰქონოს მოწ-  
ყალბა ესე, ჯეროვანის რიგობით, ძაფკასიის  
პირ აქეთ ყმობაში მყოფს ხალხსაცა, ბრძანა,  
რომ განთავისუფლება გლეხთა მოჰხდეს ჯე-  
რეთ ტფილისის გუბერნიასაში, მერმე მუთაისის  
გუბერნიასაში, და დასასრულ სამეგრელოშიაც.  
ამ გეარად, დღეს თქვენ მოგენიჭებთ იგი  
უდიდესი მადლი, რომლისაც თანაზიარ ქმნი-  
ლან ყოველნი ხელმწიფის ქვეშევრდომნი  
ყმობაში ყოფილნი, და თქვენცა თანასწორ  
მათთან დაჰსტკებით ამას იქით ერთგვარის  
მოწყალეობითა.

შქონდა რა ხელმწიფე იმპერატორი-  
საგან უმაღლესად ნაბძანები, რათა წარ-  
მედგინა წინადადებულებანი განკეთილებისა. გა-  
მო თქვენის მდგომარეობისა, მე მოვეუწოდე

ამასში დასახმარებლად თვით ადგილობრივი  
თავად-აზნაურნი, რომელთაცა აღმოაჩინეს თა-  
ვი თვისი სრულიად ღირსად ესრეთის მინდო-  
ბილობისა, და გამოაცხადეს პატიოსნებით  
მზათ-ყოფნა არამც თუშესწყვიტონ პირითა-  
დი უფლება თვისი თქვენზედ, და არა მოგ-  
თხოვონ ამისათვის არა რაიმე მისაგებელი,  
არამედ მოგინიონცა სანადაგო სარკებლო-  
ბად. უჭირველის თქვენის ცხოვრებისათვის,  
ნაწილებიცა საკუთარის მათდა კუთვნილის  
მიწებიდან.

შანგარო ესე განმზადება თქვენთ მყოფთ  
მებატონეთა მივიღე მე, და თანახმად ამისა,  
წინაშე ნაბძანებთ ხელმწიფისაგან საფუ-  
ძველთა ზედა, წარუდგინე მისს დიდებუ-  
ლებსა წინაგანზრახვანი განთავისუფლებისა-  
თვის საბატონო გლეხთა სამეგრელოსა შინა,  
ამასთანავე თუ რა ვალდებულება უნდა ჰქონ-  
დესთ მათ მიწის პატრონთადმი, რა გარდასა-  
ხადი აქლიონ და რა მმართველობა იქონი-  
ონ თავიანთთვის. მოველივე ესე მისმა დი-  
დებულებამ კეთელ-ინება და დამტკიცა  
უმაღლესად.

ახალი კანონები ხელმწიფისაგან დამ-  
ტკიცებულნი—ვითარცა დამატებითი ტფი-  
ლისის გუბერნიის წესდებათადმი, აწ  
წარმოგვცემთ თქვენ საზოგადოდ საცნობე-  
ლად და ჯეროვანად აღსასრულებლად. ახა-  
ლი კანონები ესე დაწესებენ ასრეთ:

1. ბატონური უფლება მოისპობა სამარა-  
დისოდ, და იგინი, რომელნიცა იყენენ აქ-  
მომდე ყმანი, ამ დღიდან მიიღებენ ყოველ  
თა უფლებათა, რაჲცა ეკუთვნისთ თავის-  
უფალთ სოფლის მცხოვრებთა.

2. გლეხნი შეიქმნებიან სრულს პატრო-  
ნებად ყოველისა თვისისა მოძრავის ქონებისა,  
და აგრეთვე იმ უძრავის ქონებისა, რომელ-  
ნიც შეუძინებიათ იმათ წამდვილის ჰსყიდ-  
ვით ანუ სხვა რიგის კანონიერის გზითა.

3. მიწა, რომელზედაც სახლობენ გლეხნი,  
ეკუთვნისთ სრულიად და შეუხებელად მება-  
ტონეთა; ხოლო რაც ამ მებატონის მიწაზედ  
აქეთ გლეხებს:

ა) მზო ანუ სამოსახლო, ესე იგი სად-  
გომი შენობა და ამასთან: ქართა, ბოსელი  
ანუ სახეაღვე, ეზოს კალო, ბეღელი, სასი-  
მინდე, ხულა და საბძელი, პირუტყვის გამო-  
საშვებიცა;

ბ) საეკპრო და სხვა აღებ მიცემის  
გამართლობანი, ესე იგი: ფაბრიკები, ზაფო-  
დები, წისკილები, დუქნები, ამასთანავე ბო-  
სტენები, საფუტურები (თუ ესენი ზედ აკრა-  
ვან გლეხების სამოსახლოსა), და

გ) მენახები,—

სულ ყოველივე ესე დაეტოვებათ სანა-  
დაგო სარგებლობაში გლეხთა, დაწესებულის  
გარდასახადს მიცემით მებატონისადმი მიწი-  
სათვის.

4. ზარდა ამისა, უჭირველ საცხოვე-  
რებელად გლეხთა და აღსასრულე-  
ბლად მოვალეობათა მათთა მმარ-  
თებლობის წინაშე,—მებატონენი მი-  
უჩენენ სანადაგოს სარგებლობაში გლეხთა  
სახანავს და სათიბ მიწებსა, აგრეთ-  
ვე ტყის ნაწილებსაცა სახარდნეს, სასარეს  
და საქარეს, ამებსაც გარდასახადს გამოარ-  
თმევით. თუ რაოდენი სახანავ-სათიბი მიწა  
უნდა მიეჩინოსთ გლეხთა, ესე დაწესდება  
უფრო უმეტეს კეთილ-ნებითის მებატო-  
ნეთ და გლეხთ თანხმობითა; და თუ თან-  
ხმობა არ მოხდა, მაშინ მებატონენი დაუტო-  
ვებენ გლეხთ სარგებლობაში იმ სახანავ-სათიბ  
მიწებსა, რომლებიცა იმათ ადრე უსარგებ-  
ლიათ, მხოლოდ ამ პირობით, რომ მებატო-  
ნეთ არ უნდა დაჰმთესთთავიანთ განგობაში  
ნაკლებ ნახევრისა იმ სახანავ-სათიბის მიწე-  
ბიდან, რომელიც აქვთ იმ სოფელში, საცა  
სახლობენ გლეხნი, და კიდევ ამ პირობითაც,  
რომ თუნდ ნახევარზედ მეტიც ჰმთებოდესთ  
მებატონეთ, არას გზით იგინი მოვალენი არ

არიან დაუტოვონ თვითთავის კომლის  
სარგებლობაში უმეტეს თორმეტის ქცევისა.  
ამ ორსავე შემთხვევაში მებატონეთ აქვთ  
უფლება მომატებული ნაწილი მიაკციონ თა-  
ვინთ საკუთარ განგობაში. მაგრამ კი, თუ  
რაოდენობა საგლეხო ველის მამულებისა  
არ აღემატება ესრეთ წოდებულს ძირის  
მიწასა, სახელდობო თხ ქცევისა, მაშინ  
გლეხს აქვს უფლება დაიტოვოს თავისთვის,  
ამ ძირის მიწის რიცხვში, ის ველის მამულე-  
ბის ნაწილიცა, რომელიც უნდა ჩამოერთვას  
მას მებატონისაგან; ხოლო დასაჩუქრებლად  
მებატონისა იმ მიწის ნაწილისათვის, რომე-  
ლიც უნდა დაჰბრუნებოდა მას, მაგრამ რომე-  
ლიც გლეხს დაუგდია თავის სანადაგოს  
სარგებლობაში, დაიდების აღმალეული  
გარდასახადი მეათედით მეტი საზოგადოდ  
დაწესებულს გარდასახადზედ.

5) რაკი ესრეთ გლეხნი განთავისუფლდ-  
ებიან მებატონეთ ყმობიდან და დაიტოვებენ  
კიდევ თავინთ სარგებლობაში კუთვნილთ  
მებატონეთადმი მიწათა, მაშინ გლეხნი მოვა-  
ლენი არიან აქლიონ იმათ—როგორათაც  
მიწების პატრონთ, ჯეროვანი გარდასახადი ამ  
მიწებისათვის. თუ რაოდენი უნდა აქლიონ  
გარდასახადი, ესეც დამოკიდებულია მებატო-  
ნეთ და გლეხთ ნებაყოფლობითს თან-  
ხმობაზედ. მაგრამ, რადგანაც იქნება ამგეა-  
რი თანხმობა არ მოხდეს და მიწის პატრონ-  
თაც არ დაკარგონ გამორწენა კუთვნილის  
მათდა მიწისაგან,—ამისთვის, ახალი კანონ-  
ებით, დაწესებათ გლეხთა შემდგომი მოვალე-  
ობითი მებატონეთადმი გარდასახადი:

ა) ეზოს ანუ სამოსახლოს მიწისათვის სამი  
მანეთი ქცევანზედ წელიწადში;

ბ) ვენახების მიწისათვის: დაბლარისა—მეო-  
თხედი ღვინის მოსავლიდან, ხოლო მაღ-  
ლარისა—ანუ მესამედი ღვინის მოსავლი-  
დან, ანუ მეოთხედი როგორც ღვინის  
მოსავლიდან, ისე ღანათსთაგანაც ამ გეარ  
ვენახებში;

გ) სახნავ მიწისათვის მეოთხედი გამო-  
სავლისა;

დ) სათიბიდან და აგრეთვე ისლის მოსა-  
ვლიდან მესამედი, და.

ე) ნაყოფ-მომცემის ხეებისათვის, რომელ-  
ნიც ჰხდებოდნენ ვენახებში და ველის მამულე-  
ბში, აგრეთვე სახარდნეს, სასარესა და საქარე-  
სათვის—გლეხნი მიჰსცემენ მებატონეთ გარდა-  
სახადსა, მორიგებით მათთან, ანუ მირთვის  
პოსრენიკის გარდაწყვეტლობით.

ამების გარეთ, ყოველი გარდასახადი გლე-  
ხთაგან პირადის სამსახურით ანუ მუშაობით,  
აგრეთვე ხარით გინა ცხენით, მოსპობილ იქ-  
მნება.

6. იმ მამულეებში, საცა გლეხთ უსარგე-  
ბლიათ, ერთად მებატონესთან, კუთვნილითა  
მისდა სანახიროთი და საძოვებელის  
ადგილებითა, აგრეთვე პირუტყვის სასმელის  
წყალითა, იქ გლეხნი ისარგებლებენ ამ  
საქირობებებითა, ისევე ისე, როგორც ყოფილა  
აქამომდე დებულებისა-მებრ.

7. გლეხთ არ დაეშლებათ გამოიტანონ  
მებატონის ტყიდან ის ტყის მასალა, რაკი  
საქიროა ვენახების შესამუშავებლად, რამდენი  
ხანიც კი ეჭირებათ ხელში მებატონის მიწე-  
ბი; ამ ხმარებისათვის უნდა აქლიონ მებატო-  
ნეთ ცალკე ფასი, რასაც გადაუტრის მირთვის  
პოსრენიკი.

8. დაწესების დროს ამა კანონთა, არ შეი-  
ძლებოდა მმართველობა არ შესულიყო იმ  
მებატონეთ მდგომარეობაში, რომელთაც  
აქეთ მიწა მეტად მცირე (ნაკლებ სამოცის  
ქცევისა), და ამის გამო არა ძალუძსთ, რომ  
მეტად უზარალოდ თავიანთთვის მიუჩი-  
ნონ რაოდენიმე გლეხებსაც. ამის მიხედვით,  
ამ გეარ მებატონეთ მამულეებისათვის დაწე-  
სებულ არიან საკუთარი კანონები, რომელ-  
ნიცა მიჰსცემენ შალავათს მებატონეთა და  
არცა საზარალო იქმნებიან გლეხთათვის.

9. გლეხთ მიეცემათ ნება, თუ რომ მება-  
ტონე თანახმა გახდა, შეესწავინენ თვისდა  
საკუთრებად მიჩენილი მიწები—სამოსახლო და  
ველის მიწები, აგრეთვე ვენახები. გლეხნი,  
რაკი ესრეთ შეისყიდენ მიჩენილს მათდა  
მამულს საკუთრებად, მაშინვე განთავისუფლ-  
დებიან ყოველის მოვალეობიდან მებატონეთ-  
თადმი.

დასასრულ 10. გლეხთა ყმობიდან გამო-  
სულთა მიეცემათ ნება შეადგინონ სოფ-  
ლის საზოგადოებანი, თვითვე განაგონ თავი-  
ანთი სასოფლო და შინაგანი საქმეები და  
იქონიონ თავიანთი საგლეხო სამსჯავრო.  
ზარნა განსამართლებლად უგულისხმობათა  
და დავათა, რომელიც წარმოჰსდგებიან მოვა-  
ლეობათის მამულის გამო ანგარიშებიდან  
გლეხთა და მებატონეთა შორის, განწესდები-  
ან ადგილობრივ, საშუალო თვით ხალხისა,  
საკუთარნი მოსამართლენი, წოდებულნი  
მირთვის პოსრენიკებად; ხოლო საზო-  
გადო განგობა საქმის წარმოვლობისა და  
უახლოესი თვალის დაქერა თვით მირთვის  
პოსრენიკების მოქმედებებზედ მიენდობა  
მუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეების  
პრისუტსტეისა.

მაგრამ, რასაკვირველია, გარდასვლა ძვე-  
ლის წესიდან ახალ წესში არ შეიძლება  
მოხდეს უცებ. საქიროა, რომ ჯერ ცნობაში  
მოვიდეს თუ რა მიწები მებატონის მამულე-  
ბიდან უჭირავსთ დღეს გლეხთა, და რომელ-  
ნი მათგანი შეიძლება მიეჩინოსთ მათ შემ-  
დევ დროს სარგებლობისათვის; უნდა დაწეს-  
დნენ თვით გარდასახადნი ამ მიწებისათვის  
მებატონეთადმი; საქიროა, ბოლოს, რომ  
რაც პირობები შესდგება მებატონეთ და  
გლეხთ შორის, ნებით ანუ დაწესებულის კან-  
ონებით, დაიწერნენ ქაღალდით, რომელიც  
შეიქმნება შეურყეველ დამცველად ორივე  
მხრის უფლებათა და რომელსაც ეწოდება  
უსტავენის გრამოტა. თუ წინადადე არ  
აღსრულდა ესე ყოველივე, შეუძლებელია,  
რომ დაბოლოებითი და მტკიცე იყოს გლე-  
ხების დაბინავება. დასადგინებლად ნაჩვენებთა  
აქა შეთანხმებათა და დასაწერათ თვით უსტა-  
ვენის გრამოტათა, დაინიშნება ორი წელიწადი.  
მადა ესე არის უკანასკნელი, და შეიძ-  
ლება უფროც შემოკლდეს, თუ უსტავენის  
გრამოტები ხელ-მოწერილ იქმნებიან ადრე-  
ვაც ორთავ მხარეთაგან. მანვლამდე ამ ვა-  
დისა, გლეხნი უნდა დაჰმთენ იმე მამულის  
გამო მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს  
იგინი აღმოჰსჩნდებიან. და ამისათვის გლეხნი,  
განთავისუფლებიან—რა დაუყოვნებლივ ყო-  
ველის პირითადის მებატონის დამოკიდებულე-  
ბისაგან და ყოველთა მომატებულთა ანუ ყმუ-  
რთა მირთმევათაგან მებატონისადმი ხორავით  
თუ ფულთ, ამასთანავე მოიპოვებენ რა ნე-  
ბას დაქორწინებისას და ქალთა გათხოვებისას  
დაუკითხავად მებატონისა, უფლებას, რათა  
განავებდნენ მოძრავს და უძრავს საკუთრად  
მათდა კუთვნილს ქონებას და, ახლადცა შეი-  
ძინებდნენ მას,—გლეხნი, ყოველისავეს  
ამის დღეს მომპოვებელნი, დაიციენ,  
ვიდრე უსტავენის გრამოტებ-აღსრულ-  
დებიან, თვის სარგებლობაში ისევე იმ მი-  
წებს, რომლითაც იგინი სარგებლობენ; ხო-  
ლო, მებატონენიც მიიღებენ გლეხთაგან,  
უწინდელ მრავალ-გეართ გარდასახადთაგან,  
მხოლოდ თავ-ბეგარას, შინაყმას და  
მონადეს—და ამებსაც ზოგი-ერთის შემსუ-  
ბუქებებითა გლეხთათვის, ჩალითა ცალკეს  
კანონებისა, რომელიც ამასთანავე გლეხთ  
დაერიგებათ. ეს არის დამოკიდებულება დრო-  
ებითი, რომელიც არა შესცვლის კანონთ  
დაწესებას, მხოლოდ, მიჰსცემს დროს და  
ღონისძიებას გარდასავლელად სანადაგოს  
ჰსწორეს და მშვიდობიანს მდგომარეობაში  
შემდგეს დროსა-თვის.

გლეხნი, რომელნიც არიან მებატონეებისა  
ოჯახში მოსამსახურედ ანუ იმათ მამულში

რამე მოხელედ, ანუ რომელიც ჰსდგანან ხიზნად (მინდობილად) სხვა საბატონოს გინა უწყების მიწებზედ, ანუ სსცხოვრებენ ქალაქებში და სავაჭროს სოფლებში, მოიბოვებენ მათვე პირადთა. სახელეულობითა და ქონებითა უფლებათა, როგორც დასახლებულნიცა თვით მებატონეების მამულებზედ, მაგრამ ისინიც ვერ შექსწყვეტენ მაშინვე თავიანთ სამსახურს და გარდასახადს მებატონეთადმი, და არიან მოვალენი, აგრეთვე ორის წლის განმავლობაში, აასრულონ იგივე სამსახური და იგივე გარდასახადი, და იმავე ზოგითვე, როგორათაც ყოფილა აქამომდე და არა უმეტეს. შემდგომ-კი ორის წლის ვადისა, ამ გვართ გლებთ მიეცემათ სრული უფლება აღირჩიონ ცხოვრება, თავიანთის სურვილისა-მებრ.

მსრთინ არიან უპირველესნი საფუძველნი ახალის კანონებისა, რომელნიც ეხლა შემოდიან კანონიერს და ყველასთვის ვალად მისაღებს ძალაში; დაწერილებითი დადგინებები იხილებიან თვით ამ კანონებიდან, რომელნიც არიან დამოწმებულნი ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის ხელ-მოწერით და დამტკიცებით.

შოვლად სანატროა, რათა პირველისავე დღიდან და უკანასკნელ დადგინებამდე ახალთა მამულების გამო დამოკიდებულებათა მებატონეთა შორის—ვითარცა ამ მამულების პატრონთა, და გლებთა შორის—ვითარცა იმათ მოსარგებლეთა, ყოველივე განსაზღვრებულ-იქმნას კეთილ-ნებითის მორიგებითა. ამაში, მე არ ეტყვნეულა, დიდს შემწვობას აღმოაჩენენ გუბერნსკის პრისუტსტევიც და ნამეტნავათაც მიროვის პოსრედნიკები, რომელნიც არიან თვით მახლობელნი გამარჩეველნი და გამსაჯველნი პირნი ყოველთა საქმეთა მებატონეთა და გლებთ შორის, და ამასთანავე ვალდებულნი დახმარებად, რათა დამყარდეს მათში მშვიდობიანი და კეთილი დამოკიდებულება. მიროვის პოსრედნიკები არიან აღმორჩეულნი ჩემგან, და ამისათვის მებატონენიცა და გლებიცა უნდა თანსწორის ნდობით მიმართიდნენ იმათ. იმათ მოქმედებაზედ, და აგრეთვე გუბერნსკის პრისუტსტევის მოქმედებაზედ მე უურადლება მეტყვნება.

ზანგიმეორებთ: ორი წელიწადი არის დანიშნული—როგორც რომ საჭირო ღრო გარდასახელებად ახალს ცხოვრებაში. ამ ორის წლის განვლამდინ ანუ ვიდრე დაბოლოვდებოდეს ერთმანერთთან შეთანხმება, გლებნი, ისარგებლებენ—რა ახლანდელისავე მამულებითა, ამასთანავე ვალდებულ არიან უარის-უთქმელად აძლიონ მებატონეთ შესახვედრი გარდასახადი უწინდლები; ხოლო მათგანნი, რომელნიც იმყოფებიან შინა-მსახურად და რამსამე მოხელედ მებატონის ოჯახში და მამულში, აგრეთვე რომელნიცა ჰსდგანან ხიზნად და სსცხოვრებენ ქალაქებში და სავაჭრო სოფლებში, ისინიც უნდა ემსახურებოდნენ და აძლევდნენ მათ გარდასახადსა, როგორც აქამომდე. მართნიც და მეორენიც უნდა ემორჩილებოდნენ მიროვის პოსრედნიკებს.

სოფლის მცხოვრებნო, ყმობიდან გამოსულნი არ ეტყვნეულა, რომ თქვენ დაფასებთ სრულს სიდიდეს და სრულს მნიშვნელობას ამ დღისას, რომელიც განგისხნისთ თქვენ ახალს ცხოვრებას; დაფასებთ იმ უფლებათა, რომელნიც თქვენ დღევანდლიდან მოგენიკებათ და რომელთა-გამოცა შეიქმნებთ თქვენ სრულს პატრონად თქვენისა მონაღაწისა, სრულს განმგედ თქვენის შრომისა. მიმედულობ, იმცნებთ და დაიხსოვებთ, თუ ვისდამი ხართ თქვენ ვალდებულნი ამ წყალობისათვის. დიდებულის ხელ-მოწიფე იმპერატორისადმი ხართ თქვენ, ჯერ პირველად, ვალდებულნი ამ დღის წყალობისათვის. შემდეგ ამისა, კეთილშობილთ თავდაზნაურთა—თქვენთ მყოფთ მებატონეთა, ეკუთვნისთ არა მცირედ წილი თქვენის ყოფა-

ცხოვრების განკეთილებაში: მათ თავიანთის კეთილ, ნებლობით დაჰსთმეს უფლება თვისი თქვენზედ; პატრის-ჰსდეს რა თქვენს შრომას, იმათ დიდის მონდობილებით მოგიჩინესთ თქვენ, თქვენის უპირველეს ცხოვრებისათვის, ნიადგ სახმარისად, ნაწილიცა თავიანთის მამულებისა. მაგრამ რაკი მოგენიკებათ თქვენ ამდენი კეთილი, და თქვენც ისარგებლებთ, თანაწორ ყოველთა ხელ-მოწიფის იმპერატორის ქვეშევრდობითა-თანა, მფარველობითა მისის კანონებისათა, თქვენც უნდა გახსოვდესთ, რომ ამითი გეღებთ თქვენ აუცილებელი ვალი. ეს ვალი იქმნება ორ-გვარი: წინაშე მმართველობისა და წინაშე პატრონთა მამულებისა, რომელზედაც ხართ თქვენ დასახლებულნი. მმართველობასა, თქვენის პირითადის და ქონებითის დაცვისათვის და აღსასრულდებლად შემდგომთა ამას იქით მზრუნველობითთა თქვენზედ განზრახულებათა, თანავეყვის მოგთხოვსთ, ვითარცა ყოველთა სოფლის მცხოვრებთა, შემოიტანდეთ ხარჯსა და სათემოს გარდასახადთა, რომელთაც იგი დააწესებს ახლოს ღროში, და აქეს კიდევ იმედი, რომ თქვენ, მზავსად მეზობელთა თქვენთა—შუთაისის გუბერნიის გლებთა, შემოიტანთ იმათ რიგზედ და უკლებლად. მებატონენიც სრულიად სამართლიანათ მოვლიან თქვენგან, რომ ეგრეთვე რიგზედ მიჰსცემთ მათ სამამულოთა გარდასახადთა—ვითარცა ჯეროვანსა და კანონიერსა მისაგებელსა იმ კუთვნილისა მათდა მამულებისათვის, რომელთაც იგინი დღეს თქვენდა მოჩენილ-ჰყოფენ. მხოლოდ ქვეშარატის შეგნებითა ამ მოვალეობათა და დაუყვედრებელის მათის აღსრულებითა თქვენ დამტკიცებთ თქვენს მადლობას კეთილთა-თვის თქვენდამონიკებულთა.

მხლა თქვენ გაქვს განხსილი გზა, რომ თვით თქვენვე დაფუძნოთ თქვენი კეთილ-მდგომარეობა; პატრონის და გულ-დამშვიდებულის შრომით თქვენ შეგიძლიანთ განაერცოთ იგი; დაზოგით და კეთილ-წესიერის ცხოვრებით განამრავლოთ თქვენი და თქვენის შეიღების ჭირანხული. ამას ისურვებს ხელ-მოწიფე იმპერატორი, ამასვე მოველი თქვენგან მე.

ღეთის კურთხევა გიძლოდეს თქვენ ამ ახალს, განხსნილს თქვენს წინაშე, გზასა ზედა!

მოწერილია: ძაქაისის ნამესტნიკი, ლენერალ-შელდციხმისტერი „მისხილ“.

19 თებერვალს, 1867 წელსა.

**ტ ე ლ მ ე რ ა მ მ ე ბ ი,**  
ტფილისში მიღებული.

**პეტარბურგი, 16 თებერვალს.** აგრამის კამიტეტმა გადუთქმელად გადასწყვიტა პროციის გაუნაწილებლობა. იმის საზოგადო კრება გზავნის დეპუტაციას იმპერატორ შრანცი-ნოსებთან, რომ იმან შესცვალოს პატენტი სამხედრო ვალდებულებაზედ, შეკრიბოს შემოკლებული სეიმი და ადაღინოს გაუნაწილებლობა სამერთოვანის საკაროლისა. მაშინგტონის სამსჯავრო კამისიამ უარყო პრეზიდენტის ჯონსონის სამართალში მიცემა.

**პეტარბურგი, 16 თებერვალს.** პორტამ გამოაცხადა, რომ ამდენი დამოძობით ილაჯი-ალარ არისო. ზანდგომილების დამშვიდება მარტო მსმალეთსაც შეუძლიანო. პორტამ წარმოსთქვა, რომ ძანდის შესახებ მე იმისთანავე სიმართლე მაქვსო, როგორიც რუსეთს ჰქონდაო პოლშის შესახებ. პასუხის გებაში ისი მიეცემა, ვინც მეგობრულის სახით იმ გვართ მოქმედებს, რომ შეარყევს პეროპის მშვიდობიანობას.

**პეტარბურგი, 20 თებერვალს.** გერმანიის პარლამენტის პრეზიდენტათ ამარჩიეს უ. სიმსონი, რომელიც უწინ შრანციურტის პარლამენტის პრეზიდენტათ იყო.

**რადგანაც ეს ერთი კვირაა რუსეთში-  
დამ შორება არ მოსულა, ამიტომაც ამ  
ნუმარში საპოლიტიკო ცნობები არ იბე-  
ვდებიან.**

**სამეგრელო.**  
II.

მეგრელები და ქართველები ერთს ტრამს შეადგენენ და ერთს შთამომავლობას ეკუთვნენ. ამ აზრზედა ღვას მართლის-ცხოვრება. მართალიც არის. თუ გესურს სწორეთ შევიტყუოთ, რომელი ტომი რომლის წყაროდამ მომდინარეობს, მაშინ ჩვენ ამისი დასამტკიცებელი საბუთი ენაში უნდა მოვძებნოთ. ეს საბუთი ყოველთვის უწყველია. რაც უნდა ერთი იმათგანი მიტყუული იყოს, გრამატიკული აგებულება ორივეს შინა თითქმის ერთი და იგივე ექნება. არც არის თითქმის ენა, რომ რამდენსამე შტოთ დაყოფილი არ იყოს. ასევე საქართველოს ენაც. ჩვენ ახლა დარწმუნებით ვიცით, რომ ის განაწილდება სამ შტოთ. მართა ქართული, მეორე მეგრული, მესამე სეანური. ამათში მეგრული ბევრით ახლოა ქართულზედ, ვიდრე სეანური. მართული, რასაკვირველია, ორივეზედ მომატებულათ არის შემუშავებული და სრული. მიზეზი ის არის, რომ იმაზედ დიდი ყურადღება ყოფილა მიტყუული, იმას საკუთარი ლიტერატურა ჰქონა და წარმატება მისცემია. ორივე დანაშთენა ენები ღარიბნი არიან, დაბლა დგანან. მეგრულის საფუძველს, ბროსსეს გამოკვლევით, სამი ელემენტი შეადგენს: ერთია ნამდვილი ქართული თავისის ფესვებით და გრამატიკულის ფორმებით, მეორე ქართულივე, მაგრამ შეცვლილი ხმოვანისა და უხმოასოების გამოთქმაში, სიტყვის დაბოლოებაში, მესამეა სხვა და სხვა უცხო-ტომის სიტყვები, რომელნიც ეკუთვნიან სეანურს, აფხაზურს და ჩერქეზულს. (1) მარდა ამისა ძალა-პროტი თავისს მეგრულის გარკვევაში უჩვენებს ფინურს, ნემეკურს და სლავიანურს სიტყვებს. (2) მეგრულის ენას უფრო ნაზი გამოთქმა აქვს, ვიდრე ქართულს. რა დროდამ დაწყებულა ქართველს ტომში დაშორება ერთის ენისა მეორესთან, ამაზედ, რასაკვირველია, დაქვემარტებით ვერას ვიტყვით, როგორც ვერ ვიტყვით ამას ვერც ერთს ენაზედ. მართის შტოს სრულის დაშორებისთვის მეორესთან დიდი დროა, ბევრი საუკუნეა საჭირო; ასე დაუწყებია თვით ბუნებას. ისტორიაც გვემოწმება, რომ მეგრული ძველი ენაა: მეშვიდე საუკ. მართლის-ცხოვრება შენიშნავს, რომ ჰყონ-დიდი მეგრულს ენაზედ ნიშნავსო დიდ-მუხას (3). მეგრულის ენის საზღვრები სამთავროს საზღვრებს არას დროს არ ეთანახმებოდა: დაღინების სამფლობელო, როგორც გამოვიკვლიეთ ქვეით, ხან ერცელდებოდა, ხან მოკლდებოდა. თვით გეოგრაფიული მდებარეობა ენისა გვიჩვენებს, რომ იმას საზღვრავს იმერეთის მხრით ცხენის-წყალი, ზურის მხრით ჩიონი და აფხაზეთის მხრით მთელი სამურზაყანო, სადაც ცხოვრებენ მეგრელები, რომელნიც მიჯნაზედ აფხაზეთთან არიან შერეულნი. ასევე ამ დროს. უწინ, როგორც ჩვენი ისტორია გვიმოწმებს, სამეგრელო ანაკოფიამდე ყოფილა გავრცელებული (4). სჩანს, მეგრულს ენას ძველათ ჩრდილოეთით ჰქონია დაქრილი დიდი ადგილი, მაგრამ დროს განმავლობაში აფხაზის ტომს ის შეუვიწროებია და გაუფანტავს. ასე ფიქრობს თვით ძალა-პროტი: იმას მოჰყავს მისიონერის ლამბერტის სიტყვები, რომელიც ორასზედ მეტის წლის წინ აფხაზურის და მეგრულის მიჯნათ უჩვენებს ძალდორის მდინარეს: ჩრდილოეთით ამ

მდინარისა აფხაზურს ლაპარაკობენო, სამხრეთით კი მეგრულსაო (1).

მეგრულის გეოგრაფიულს მდებარეობაში უფრო ეს არის შესანიშნავი, რომ სამხრეთით, ესე იგი ჩიონის მდინარით, ის სწყდება: აქ ძვეს ზურია, სადაც წმინდა ქართული არსებობს, და იმისს ძველს საზღვარზედ, იქ, სადაც შორახი ზღვას ერთვის, ისევ მეგრული ენა იწყება და ზღვის პირათ მისდევს თითქმის ტრაპიზონამდე. ჩვენ ვამბობთ შანეთზედ ანუ ლაზისტანზედ. ამ შემთხვევას გაკვირვებაში მოჰყავს ლეზუაუც და ბროსსეც (2). რა უნდა იყოს მიზეზი? ჩვენ ისევ იმას ვფიქრობთ, რომ როდესაც აფხაზის ტომი მისდგომია მეგრელებს, და შეუვიწროებია ისინი, მაშინ ერთი ნაწილი იმათი გასულა ზღვით და შორახზედ დასახლებულა. მინ იცის, იქნება ზოგი იმათგანი მნგურის მთებში შეფარდნენ და იმათგან მომდინარეობენ სეანები. თუ ეს მართალია, ეს ამბავი, რასაკვირველია, ძალიან დიდის ხნის ამბავი უნდა იყოს. შანების კვალი დარჩენილი კია თვით სამეგრელოში. აქ ერთი მდინარე აქამომდე შანის-წყალათ იწოდება. მეგრელები ამბობენ, ჭანები ჩვენი მოძმენი არიანო. მისვლა-მოსვლა ერთმანეთში აქვთ: დიდი-ხანი არ არისო, მოყვრობასაც მიესდევითო. მართისა და მეორის ენა ცოტათი გაიჩრევა: ერთმანეთი კარგათ ესმით. მახუშტი შანეთის მიჯნათ ტრაპიზონის მხრით უჩვენებს ერთს მცირე მთას, სადაც არისო რკინის პალო. (3) მართლის-ცხოვრება კი ანდრია მოციქულის მოსვლის დროს თვით ტრაპიზონს მეგრელების სოფლათ უწოდებს (4). შანები ანუ ლაზები თვით ბერძნებისა და რომაელების ისტორიითაც არიან ცნობილნი: რადგანაც ისინი ბერძნების კალკონიების მახლობლათ ცხოვრებდნენ, ამისთვის ამათი სახელი ლაზისტანი, ლაზიკა დაურქმევიათ მთელის ძველის ძოლხიდისთვის. შანეთს ისინი შანეთსაცა (tzan-nes) უწოდდნენ, ძალდვასაც. შანებს ჰყვანდათ საკუთარი მთავრები. ისინი შეადგენდნენ ევლურს და თავისუფლების მოყვარე ხალხს. პროკოფიოსის სიტყვით ისინი მეომარნი იყვნენ: ხშირათ დაესხმოდნენ რომის საზღვრებს და სომხეთს. იმათ დასამშვიდებლათ ხან ჯამაგირს უნიშნავდნენ იმათ იმპერატორები, ხან მილიციათ გამოჰყვანდათ თავისს არმიასი. იუსტინიანემ იმათთვის წარმატება ისურვა და რამდენიმე ქალაქი აუშენა (5). საქართველოს ერთობის დროს შანეთი ჩვენ ხელში გვეჭირა. შემდეგ ხან თავისუფალი იყო, ხან ზურიას ეკუთვნოდა, ხან საათაბაგოს. მახუშტი თავისს გეოგრაფიაში მოკლეთ აგვიწერს შანეთის მდებარეობას და შემდეგ ამბობს: „შანეთია ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღვლეიანი, არამედ ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი, ბრინჯ-მაშობითურთ, და ნაყოფიერებს ფრიად, პირუტყენი, ნადირნი ფრიად მრავალნი. შრინველნი და თევზნი ურიცხვნი, მწყერნი მრავალნი, ფუთკარი და თაფლი ბევრად. ჰავით ზღვის კიდური ცხელი, მთის-კერძონი კეთილ-ჰაოვანნი, ზამთარი თბილი, ზაფხული არა გაუძლისი. ძაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწ სრულიად მამადიანნი. მანა მცირედნი ვინმე მოიპოვებან ქრისტიანენი, არამედ იციან კვალად ქართულთა ენა ვიეთთამე“ (6).

(1) Voyage au mont Caucase, II. 415.  
(2) Voyage autour du Caucase, III. 11 Hist. de la Géor. I. 56. Not. 1.  
(3) გეოგრაფია, 128.  
(4) Hist. de la Géor. I. 56.  
(5) Lebeau, Hist. du Bas-Emp. VI. 297. VIII. 101, 102.  
(6) გეოგრაფია. 130

